საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1075

15/07/2021

ქ. თბილისი

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 4000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ზე გადაცემის შესახებ

2021 წლის 21 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმისა“ და შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ის დირექტორებმა. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 4000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე (ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ბნქ-ს ტერიტორია) გაიცა №23 (06.05.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 15 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-877 ბრძანება „შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 4000 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ 4000 m^3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 ივნისის №2-877 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ის;
2. შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-მ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 ივნისის №2-877 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ს და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტროლეუმ თრეიდ კომპანი 2013 PETROLEUM TRADE COMPANY 2013 LLC“-ის და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი